ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/45972-16 26. 04. 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქ. №1/რუსთაველის ქ. №1-ის მიმდებარედ (ნაკვ. №065/012) არსებული შენობა-ნაგებობის (არსებული შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქ. №1/რუსთაველის ქ. №1-ის მიმდებარედ (ნაკვ. №065/012) არსებული შენობა-ნაგებობის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ა-ე“ ფასადზე: „ბ-ე“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულზე შეცვლილია ხის მოაჯირების, სვეტებისა და ხის დეკორატიული ელემენტების ნახატი. „დ-ე“ მონაკვეთში რკინის კარი შეღებილია მუქ ყავისფრად. „±0.00“ ნიშნულის ქვევით ლითონის სვეტები მოპირკეთებულია აგურით. „ა-გ“ მონაკვეთში რელიეფის ცვლილების გამო შემცირებულია კიბის საფეხურების რაოდენობა, ხუთის ნაცვლად მოწყობილია ორი (მიწის დონე აწეულია).

„5-1“ ფასადზე: „5-3“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულის ქვევით ფრამუგებზე დამატებით მოწყობილია რკინის გისოსები, ხოლო „±0.00“ ნიშნულის ზევით შეცვლილია ფანჯრის ნახატი. „3-2“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყლის მილები. „5-2“ მონაკვეთში კაპიტალურ კედელზე შესრულებულია დეკორატიული ლესვის ელემენტები. „3-2“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულის ზევით ხის ჟალუზში გაუქმებულია ორი ხვრელი, ასევე „1-1“ ღერძის გარეთ კაპიტალურ კედელში გაუქმებულია ორი ხვრელი. „3-1“ მონაკვეთში „+3.99“ ნიშნულის ქვევით შემცირებულია სახურავი სიგრძეში დაახლოებით 0.25სმ, ხოლო „+3.99“ ნიშნულის ზევით სახურავზე დამატებით მოწყობილია ორი გამწოვი მილი. „1-1“ ღერძის გარეთ „+3.99“ ნიშნულის ქვევით სახურავი კრამიტის ნაცვლად დახურულია თუნუქის ფურცლებით.

„1-5“ ფასადზე: „1-5“ მონაკვეთში შეცვლილია ხის მოაჯირების, სვეტებისა და ხის დეკორატიული ელემენტების ნახატი. „3-4“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულის ქვევით შეცვლილია ფანჯრის ნახატი და ფრამუგა შემცირებულია სიგანეში დაახლოებით 0.20მ-ით. „1-4“ მონაკვეთში ლითონის სვეტები მოპირკეთებულია აგურით. „3-5“ მონაკვეთში კაპიტალურ კედელზე არ არის მოწყობილი მცენარეული საფარი. „5-5“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი დაახლოებით 2.30 მ სიგრძის და 2.50მ სიმაღლის და კედელში კარის ღიობი, რომელიც შევსებულია რკინის კარით. „1-2“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულის ზევით რკინის ჟალუზის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟი და ვიტრაჟის გვერდებზე კაპიტალური კედელი მოპირკეთებულია აგურით. „2-3“ მონაკვეთში ხის ჟალუზის გვერდით კაპიტალური კედელი მოპირკეთებულია აგურით. „3-5“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ორი ვიტრაჟი და მის გარეთ გაზრდილია ხის მოაჯირები თითო დაახლოებით 0.60მ-ით. „3-4“ მონაკვეთში ხის სვეტს მონაცვლებული აქვს ადგილი „3-3“ ღერძისკენ დაახლოებით 0.60მ-ით, გაუქმებულია ერთი სვეტი და „+3.99“ ნიშნულის ქვევით სწორი პერბოლის ნაცვლად მოწყობილია ტეხილი ფორმის. „1-1“ ღერძის გარეთ „+3.99“ ნიშნულზე გადახურვასა და პერბოლას შორის სივრცე შევსებულია ხით. „1-2“ მონაკვეთში სახურავზე საბუხრისი აგურის ნაცვლად მოპირკეთებულია თუნუქის ფურცლებით. „2-4“ მონაკვეთში კი დამატებით მოწყობილია სამერცხლული.

„ე-ა“ ფასადზე: „ე-დ“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულის ქვევით შეცვლილია კარის ნახატი. „დ-ბ“ მონაკვეთში კაპიტალურ კედელზე შესრულებულია დეკორატიული ლესვის ელემენტები. შემცირებულია კარის ღიობი დაახლოებით 0.60მ-ით, დამატებით მოწყობილია კარის გვერდით ფრამუგა და „გ-ბ“ მონაკვეთში ფრამუგაზე მოწყობილია რკინის გისოსი. „ბ-ა“ მონაკვეთში „ბ-ბ“ ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია კიბე. „ე-დ“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულის ზევით არ არის მოწყობილი ჰაერსატარი და „+3.99“ ნიშნულის ქვევით სახურავში არსებული სივრცე შევსებულია ხით. „დ-გ“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის ნახატი. „ბ-ა“ მონაკვეთში

„-2.73“ ნიშნულზე: „გ-დ“ მონაკვეთში „4-5“ მონაკვეთში შიდა კიბეზე გაუქმებულია ერთი საფეხური.

„±0.00“ ნიშნულზე: „ბ-გ“ მონაკვეთში „1-1“ ღერძის გარეთ გაზრდილია ხის მოაჯირი სიგრძეში დაახლოებით 0.60მ-ით, ასევე მოპირკეთების ხარჯზე გაზდილია შესასვლელ კართან კაპიტალური კედელი დაახლოებით 0.30მ-ით და კარის წინ აწეულია დონე დაახლოებით 0.25მ-ით. „გ-დ“ მონაკვეთში „4-4“ და „5-5“ ღერძებს შორის შიდა კიბესთან დამატებით მოწყობილია გადასასვლელი და ხის ბაქანი. „ე-ბ“ მონაკვეთში „5-5“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია სარინელი. „ა-ბ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ბეტონის ფილა დაახლოებით 10.0 კვ.მ ფართზე და მასზე განთავსებულია გენერატორი.

„ე-ა“ ფასადის მხარეს (შენობის უკანა მხარე) ეზოში დამატებით მოწყობილია ფანჩატური ზომებით 3.50X3.30XH3.20 (დაახლოებით 11.50 კვ.მ). ტერიტორიის შემომსაზღვრელი ღობე ნაწილობრივ ცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. “ლუნა 2010”-ს, ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქ. №1/რუსთაველის ქ. №1-ის მიმდებარედ (ნაკვ. №065/012) არსებული შენობა-ნაგებობის (არსებული შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/45972-16 02.04.2012წ. განცხადება.

უფროსის პირველი მოადგილე ვ. მუჯირიშვილი